

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის კრების ოქმი N 9

ქ. თბილისი

20 მაისი, 2022 წ.

ესწრებოდნენ:

თორნიკე მიგინეიშვილი - „ტელეკომპანია პირველი“-ს იურისტი;
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი;
ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

დღის წესრიგი:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრის განხილვა.

მოისმინეს:

თორნიკე მიგინეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მომართვა (N463-01-02-2-202205101647), რომელიც ეხება 2022 წლის 01 მაისს „ტელეკომპანია პირველის“ ეთერში გასულ სიუჟეტს სახელწოდებით „ახალი მანქანები ცესკოსთვის“. აღნიშნული განცხადება, საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, „ტელეკომპანია პირველის“ დირექტორის, ვახტანგ წერეთლის მიერ, განსახილველად გადაეცა თვითრეგულირების კომისიას.

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს მასალები, დეტალურად განიხილეს საჩივარში მითითებული სიუჟეტი და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ 2022 წლის 01 მაისს „ტელეკომპანია პირველის“ ეთერში საინფორმაციო გამოშვებაში „პირველები“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც შეიცავდა არსებითად მცდარ ფაქტებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართით. მომჩივანი მიუთითებს, რომ მოხდა საზოგადოებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება და შეილახა ცენტრალური საარჩევნო კომისიის, როგორც სანდო ინსტიტუტის, სახელი.

თვითრეგულირების კომისიის წევრებმა შეისწავლეს საჩივარში მითითებული საფუძვლები, მოისმინეს საინფორმაციო სამსახურის უფროსის ნოდარ მელაძისა და სიუჟეტის მომზადებაზე მომუშავე პირების ახსნა-განმარტებები. პასუხისმგებელი პირების განმარტებით დადგინდა, რომ ეთერში მოხვდა, რეპორტაჟის შეუსწორებელი ტექსტი, რეპორტაჟის მესამე ბლოკში, იქ სადაც ჟურნალისტი საუბრობს ავტომობილების შესყიდვის ზოგად სტატისტიკაზე „არჩევნების შემდეგ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ტენდერები მიყოლებით გამოაცხადა“ ამ ფრაზის ნაცვლად უნდა იყოს „საქართველოს ხელისუფლებამ ტენდერები მიყოლებით გამოაცხადა“. რეპორტაჟის მესამე ბლოკში ფრაზა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნაცვლად უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლება.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების შეჯერების შედეგად, თვითრეგულირების კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
2. დაევალოს „ტელეკომპანია პირველს“ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის შესწორებული სახით გავრცელება. იმავე საინფორმაციო გამოშვებაში (კვირა დღე, 20:00 საათი)

თორნიკე მიგინეიშვილი

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე